

*Handwritten notes and signatures in blue ink, including the date 11/05/2017.*

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ნინო ვახაუა 02001011087 აჭაშის მუნიციპალიტეტი

სოფ. ნორჩი. 598915406;

2. იზოლდა გოგელოა 02001011120 აჭაშის მუნიციპალიტეტი

სოფ. მახანი. 593419430;

### პეტიცია

პარკირების ადგილების, მონიშვნების და ინფრასტრუქტურის მოწყობა,  
პარკირების მარეგულირებელი ნორმების შემუშავება

გვინდა მოგახსენოთ, რომ ყოველდღიურად იზრდება ავტომანქანების რაოდენობა ქვეყანაში, მათ შორის აბაშის მუნიციპალიტეტში. ავტომანქანების პარკირება ხდება ისეთ ადგილებში, რომელიც ქვეითთა ფეხით სავალ ბილიკს წარმოადგენს, ამის გამო ქვეითები იძულებულნი არიან გადაადგილდნენ გზის სავალ ნაწილზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს. სამწუხაროდ ბოლო დროს გახშირდა არასწორი პარკირების გამო ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალების შემთხვევები. ბუნებრივია ეს მდგომარეობა ყოველდღიურად მომეტებულ საფრთხეს უქმნის როგორც ქვეითთა, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების/მგზავრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აბაშის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის და პარკირების ორგანიზება.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, "გ" ქვეპუნქტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უმოკლეს დროში უზრუნველყოთ აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ადგილების გამოყოფის, შესაბამისი მონიშვნების, ინფრასტრუქტურის მოწყობის და პარკირების მარეგულირებელი ნორმების შემუშავების საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო ვახაუა *[Signature]*
2. იზოლდა გოგელოა *[Signature]*

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 11 სექტემბერი 2017 წელი

შეამოსულია № 07/08  
ფურცელი 19  
" 11 " 09 2017 წ.